

# როგორ კლავენ თერგს

## საინფორმაციო ფურცელი დარიალის ჰიდროელექტროსადგურის შესახებ

2012 წ. ივლისი

### 1. პროექტის შესახებ

დარიალის ჰიდროელექტროსადგურის (ჰესი) პროექტი ითვალისწინებს მდინარე თერგზე, დარიალის ხეობაში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, საქართველო-რუსეთის საზღვართან ახლოს, 110 მეგავატი დადგმული სიმძლავრის დერივაციული ტიპის ჰესის მშენებლობას. ჰესი ენერგოსისტემას მიუერთდება დარიალის 110 კვ-იანი ხაზით, რომელიც აერთებს საქართველოსა და რუსეთის ენერგო-სისტემებს. პროექტს ახორციელებს კომპანია „დარიალი ენერჯი“.

პროექტი ხორციელდება საქართველოს მთავრობასა და კომპანია „დარიალი ენერჯის“ შორის 2011 წლის 19 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ჰესის მშენებლობითა და ოპერირებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შესაფასებლად, „დარიალი ენერჯიმ“ დაიქირავა სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“. „გამას“ მიერ მომზადებულ „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის“. ამ ანგარიშის საფუძველზე, 2011 წლის 28 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (სანებართვო დოკუმენტი). 2011 წლის 30 ნოემბერს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მშენებლობის ნებართვა გასცა. ამჟამად, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების მოთხოვნით, მწვანე ალტერნატივა სასამართლო დავას აწარმოებს გარემოს დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ.

დამტკიცებული (ნებადართული) სახით პროექტის განხორციელების შემთხვევაში, დარიალის ჰესის მშენებლობა და ოპერირება გამოიწვევს დარიალის ხეობის ეკოსისტემის ეკოლოგიური და კულტურული ღირებულებების დეგრადაციას და გაამლიერებს ბუნებრივი კატასტროფების ალბათობას. პროექტით გამოწვეულ ზიანთან შედარებით, ქვეყნის მიერ მიღებული ეკონომიკური სარგებელი უმნიშვნელო იქნება.

### 2. პრობლემური საკითხები

#### საეჭვო ეკონომიკური სარგებელი

საქართველოს მთავრობასა და კომპანია „დარიალი ენერჯის“ შორის 2011 წლის 19 მაისს დადებული ხელშეკრულების თანახმად, კომპანია ვალდებულია, გამოიმუშავებული ელექტროენერგია 6,5 აშშ ცენტად მიაწოდოს ქვეყნის ენერგოსისტემას ზამთრის თვეებში (დეკემბერი, იანვარი და თებერვალი) ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებიდან პირველი ათი წლის განმავლობაში. მაშინ, როდესაც საქართველოში არსებული ჰესების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერგიის ღირებულება საშუალოდ 0,5 - 1 აშშ ცენტს შეადგენს,

თბილისი, 0179, საქართველო  
ვალაშვილის ქ. 27/29, II სართ.  
ტელეფონი: (995 32) 229 27 73  
ფაქსი: (995 32) 222 38 74  
ელ.ფოსტა: [greenalt@greenalt.org](mailto:greenalt@greenalt.org)  
ვებ-გვერდი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org)

კომპანია, ხელშეკრულებით ვალდებულია, რომ გამომუშავებული ელექტროენერგია 6,5 აშშ ცენტად მიჰყიდოს ქვეყნის ენერჯო-სისტემას. წლის დანარჩენ პერიოდში, კომპანია თავისუფალია როგორც ბაზრის (ადგილობრივი/ექსპორტი), ისე ელექტროენერჯის მყიდველის არჩევაში და ელექტროენერჯის გასაყიდი ფასის განსაზღვრაში.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში არაპირდაპირი სახის ზოგად სარგებელს (როგორცაა ზამთრის პერიოდში საქართველოს ბაზარზე ელექტროენერჯის სავალდებულო რეალიზაცია, დაუზუსტებელი ინფრასტრუქტურის შესაძლო განვითარება, გარკვეული რაოდენობის დროებითი სამუშაო ადგილების სავარაუდო შექმნა და ა.შ.), შეიძლება ითქვას, რომ „დარიალი ენერჯისთან“ დადებული ხელშეკრულებიდან საქართველო უშუალო და პირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს არ იღებს (ეს არ დგინდება ხელშეკრულების ტექსტიდან). ამასთან, ხელშეკრულებით საქართველოს მთავრობა კისრულობს მნიშვნელოვან ვალდებულებებს და თავის თავზე იღებს არსებით რისკებს (მათ შორის, ფინანსურ, გარემოსდაცვით, სოციალურ და სხვა სახის რისკებს), რომლებიც არაა უზრუნველყოფილი ადეკვატური გარანტიებით.

ამასთან, ლანდშაფტურ და ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის გამო, პროექტი სერიოზულ დარტყმას მიაყენებს მზარდ და ყაზბეგის რაიონისთვის ძალზე პერსპექტიულ დარგს - ეკოტურიზმს და შეამცირებს ამ სფეროში დასაქმების შესაძლებლობებს.

### ***მდინარე თერგისა და დარიალის ხეობის კულტურულ-ეთნოგრაფიული ფასეულობა და ტურისტული მნიშვნელობა***

დარიალის ჰესის პროექტი ითვალისწინებს მდინარის წყლის უდიდესი ნაკადის, 90%-ის, სადერივაციო არხსა და გვირაბში გადაადგილებას; მდინარე თერგის დაახლოებით 8 კმ სიგრძის მონაკვეთი, პრაქტიკულად, წყლის გარეშე რჩება. სულ 11 კმ სიგრძის დარიალის ხეობის 8 კმ-იან მონაკვეთზე რადიკალურად შეიცვლება ლანდშაფტი და ხეობა დაკარგავს ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ-ეთნოგრაფიულ ფასეულობას და ტურისტულ მნიშვნელობას.

დარიალის ხეობა სწორედ მდინარე თერგითაა გამორჩეული; სწორედ ეს მდინარე წარმოადგენდა შთაგონების წყაროს ილია ჭავჭავაძისთვის, ალექსანდრე ყაზბეგისთვის, გრიგოლ ორბელიანისა და სხვა ცნობილი მწერლებისა და პოეტებისთვის. სწორედ ეს მდინარე და მისი მიმდებარე ლანდშაფტი იზიდავდა მოგზაურებს და დღემდე იზიდავს ტურისტებს. დარიალის ჰესის პროექტის დამტკიცებული სახით განხორციელების შემთხვევაში, ხეობა დაკარგავს იმ ფასეულობას, რის გამოც ის დღესაც იზიდავს ტურისტებს, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება ტურიზმის სფეროში დასაქმებული ადამიანების შემოსავლებზე.

### ***მდინარის ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის შეუსწავლელობა***

დარიალის ჰესის პროექტი ისე დაიგეგმა, დამტკიცდა და ხორციელდება, რომ შეუსწავლეელია მდინარე თერგისა და მისი შენაკადების ჰიდროგეოლოგიური რეჟიმი. მდინარე თერგის საშუალო წლიური ხარჯის მონაცემები ეყრდნობა მხოლოდ 1928-1940 და 1953-1986 წლების დაკვირვების შედეგებს - არ არსებობს უკანასკნელი 25 წლის მონაცემები. გარდა ამისა, მდ. თერგის მყარი ხარჯის (მყარი და ფსკერული ნატანის) შესახებ გათვლები ეფუძნება მხოლოდ 1928-1940 წლების მონაცემებს. საერთოდ არ გამოკვლეულა და არ არის წარმოდგენილი თერგის შენაკადების, მდინარეების ჩხერისა და ყუროს საშუალო წლიური ხარჯისა და მყარი ხარჯის მონაცემები.

აღნიშნული, იმის გათვალისწინებით, რომ პროექტით მდინარეში დარჩება წყლის ნაკადის მხოლოდ 10 პროცენტი, კიდევ უფრო ზრდის როგორც დარიალის ხეობისთვის, მისი ბიომრავალფეროვნებისთვის დამანგრეველი ზიანის მიყენების, ისე ბუნებრივი კატასტროფების განვითარების საფრთხეს.

გარდა ამისა, დადგენილია, რომ კლიმატის ცვლილებების გამო, ყოველწლიურად რამოდენიმე მეტრით იკლებს ის მყინვარები, რომლებითაც საზრდოობს თერგი და მისი შენაკადები. მყინვარების დაჩქარებული დნობით გამოწვეული წყლისა და მყარი ნატანის ხარჯის ცვლილების საკითხი არ იქნა გათვალისწინებული ჰესის პროექტის შემუშავებისას.

### **უარყოფითი ზემოქმედება ბიოლოგიურ მრავალფეროვნებაზე**

პროექტის განხორციელების შედეგად, შეუქცევადი და ძლიერ უარყოფითი ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდება ხეობის ფლორა და ფაუნა.

ჰესის მშენებლობას და ოპერირებას მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება ექნება საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ სახეობაზე, კალმახზე. პროექტის ზეგავლენის შესარბილებად შემოთავაზებული ღონისძიება - თევზსავალის მოწყობა - ვერ გააუმჯობესებს ნაკადულის კალმახის ჰაბიტატს, ვინაიდან მდინარეში დატოვებული წყლის 10% ვერ უზრუნველყოფს თევზის ჰაბიტატის შენარჩუნებას მდინარეში და გამოიწვევს ამ პოპულაციის გაქრობას.

არასამთავრობო ორგანიზაციათა კრიტიკის საპასუხოდ, კალმახზე პროექტის ზეგავლენის შესარბილებლად, „დარიალი ენერჯიმ“ დამატებით ვალდებულებად აიღო ჰესის ოპერირების დაწყებიდან ხუთი წლის განმავლობაში თევზსავალის მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად მონიტორინგის წარმოება. იმ შემთხვევაში, თუ თევზსავალის ეფექტურობა არ აღემატება 60-70%-ს, „დარიალი ენერჯი“ იღებს ვალდებულებას, რომ მოაწყობს კალმახის რეპროდუქციის საწარმოს. კალმახის რეპროდუქციის საწარმოს მოწყობით, ჰესის მშენებლობითა და ოპერირებით ბიომრავალფეროვნებისთვის მიყენებული ზიანი არ აღდგება; ამასთან, თევზსაშენის არაეფექტურობა, უკვე აჩვენა გეგუთის ზუთხსაშენმა იმერეთში, რომელიც ვარციხე-ჰესით გამოწვეული ზეგავლენის შესარბილებლად მოეწყო.

მდინარის კალაპოტში დატოვებული მცირე მოცულობის წყალი (მდინარის 10%) ზამთრის განმავლობაში გაიყინება, რის შედეგადაც მდინარის ეკოსისტემასთან დაკავშირებული უხერხემლო ცხოველები (განსაკუთრებით, წყალში მცხოვრები) მთლიანად ამოწყდებიან და მდინარე უსიცოცხლო გახდება. მდინარის გაქრობა ძლიერ ზეგავლენას მოახდენს მცენარეულ თანასაზოგადოებაზე, ასევე, ცხოველთა პოპულაციების გავრცელებისა და მიგრაციის კანონზომიერებებზე. აღნიშნული ზეგავლენის გამო, პროექტის ამ სახით განხორციელება ეწინააღმდეგება არაერთ გარემოსდაცვით საერთაშორისო შეთანხმებას.

### **მშენებლობა ნებართვების გარეშე**

ჰესის მშენებლობა „დარიალი ენერჯიმ“ 2011 წლის სექტემბერში შესაბამისი ნებართვების გარეშე დაიწყო. მწვანე ალტერნატივამ გარემოს დაცვისა და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროებს მიმართა, რათა მათ შეესწავლათ სამშენებლო სამუშაოების კანონიერება და მიეღოთ შესაბამისი ზომები. თავდაპირველად, ორივე უწყების პასუხი იყო, რომ შეისწავლიდნენ საკითხს. მიმართვიდან ორი თვის შემდეგ კი, მას მერე რაც შესაბამისმა უწყებებმა სასწრაფოდ გასცეს საჭირო ნებართვები, ორივე სამინისტრომ განაცხადა, რომ კომპანიას მოპოვებული აქვს მშენებლობისთვის საჭირო ნებართვები. ყურადსაღებია, რომ ნებართვის გარეშე ჰესის მშენებლობის დაწყება, ისევე როგორც ამ დარღვევის რეაგირების გარეშე დატოვება, საქართველოს კანონმდებლობით, სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს.

ვინაიდან არცერთმა უწყებამ კანონდარღვევაზე რეაგირება არ მოახდინა, არსებობს ძალზე დიდი ალბათობა იმისა, რომ სახელმწიფო უწყებები მომავალშიც დახუჭავენ თვალს მშენებლობისა და ოპერირების პროცესში „დარიალი ენერჯის“ მიერ ჩადენილ შესაძლო სამართალდარღვევებზე. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული, რომ მაკონტროლებელი ორგანოების მიერ გამოჩენილმა ლოიალობამ, „დარიალი ენერჯის“ უბიძგოს სხვა სამართალდარღვევების ჩადენისკენ და აღებული გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების შეუსრულებლობისკენ. ამ ვარაუდს განამტკიცებს ასევე საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობაში 2012 წლის მარტში შეტანილი ცვლილება. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა შესაძლებელს ხდის კანონდამრღვევსა და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის შეთანხმების დადებას, რომლითაც სამინისტრო, კანონდამრღვევის მიერ თანხის გადახდის სანაცვლოდ, მის უკანონო ქმედებებს კანონიერად გამოაცხადებს.

### ***მშენებლობა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე***

საქართველოს კანონმდებლობით, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აკრძალულია ჰესის მშენებლობა. მიუხედავად ამისა, დარიალის ჰესის პროექტი დაიგეგმა იმგვარად, რომ საპროექტო არეალმა მოიცვა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიის ნაწილი.

2011 წლის ნოემბერში „დარიალი ენერჯიმ“ გარემოს დაცვის სამინისტროში წარადგინა დარიალის ჰესის პროექტის „ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების“ ანგარიში - ამ ანგარიშის წარდგენა აუცილებელია სამინისტროსგან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის (ანუ პროექტის განხორციელების ნებართვის) მისაღებად. ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ ჰესის საპროექტო არეალი მოიცავდა ყაზბეგის ეროვნული პარკის 2.64 ჰა ფართობის ტერიტორიას. მიუხედავად ამისა, გარემოს დაცვის სამინისტრომ მაინც გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე და ამით დაარღვია კანონმდებლობის მოთხოვნები.

მოგვიანებით, კვლავ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურული ნორმების დარღვევით, მთავრობამ პარლამენტში წარადგინა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დარიალის ჰესის საჭიროებისთვის ყაზბეგის ეროვნული პარკის ფარგლებიდან 8.7737 ჰა ტერიტორიის ამოღებას. მწვანე ალტერნატივამ პარლამენტს მიუთითა როგორც პროცედურულ დარღვევებსა და გარემოს დაცვის სამინისტროს უკანონო ქმედებაზე, ისე ყაზბეგის ეროვნული პარკის ფარგლებიდან 8.7737 ჰა ტერიტორიის ამოღების დაუსაბუთებლობაზე; თუმცა, პარლამენტმა არ გაითვალისწინა მწვანე ალტერნატივას არგუმენტები და 2012 წ. 13 მარტს მაინც მიიღო კანონი. უფრო მეტიც, კანონის გამოქვეყნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყაზბეგის ეროვნული პარკიდან ამოღებულ იქნა არა 8.7737, არამედ ბევრად მეტი - 20.3633 ჰა ფართობის ტერიტორია.

მწვანე ალტერნატივა დღემდე ითხოვს ორგანიზაციის არგუმენტების გაუთვალისწინებლობის და ყაზბეგის ეროვნული პარკიდან 20.3633 ჰა ფართობის ტერიტორიის ამოღების მიზეზების დასახელებას, თუმცა უშედეგოდ - პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი ორგანიზაციის მოთხოვნას რეაგირების გარეშე ტოვებს.

საქართველოს მთავრობა ცდილობს, რომ ყაზბეგის რაიონში სამი ტერიტორიისათვის ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭება ჰესის მიერ გარემოზე მიყენებული ზიანის კომპენსაციად წარმოაჩინოს, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს - შეუძლებელია ამ ღონისძიებამ შეამსუბუქოს მდინარის დაშრობის შედეგად გარემოსთვის მიყენებული ზიანი.

აღსანიშნავია, რომ დარიალის ხეობაში ჰესის აშენება საბჭოთა პროექტი იყო. სწორედ ამ პროექტისაგან დარიალის ხეობის დასაცავად, აკადემიკოს ნიკო კეცხოველის ინიციატივით, შეიქმნა ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალი, რამაც კომუნისტური მთავრობის ხელყოფისაგან იხსნა ხეობა.

### **3. რა შეიძლება ჯერ კიდევ გაკეთდეს თერგის და დარიალის ხეობის გადასარჩენად?**

მდინარე თერგისა და დარიალის ხეობის ლანდშაფტური და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად, ასევე დარიალის ჰესის კულტურულ-ეთნოგრაფიულ და ტურისტულ ფასეულობებზე ზეგავლენის მინიმუმამდე დასაყვანად, საქართველოს ხელისუფლებამ და „დარიალი ენერჯიმ“ უნდა შეაჩერონ დარიალი ჰესის მშენებლობა იმ დრომდე, სანამ, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით, ფართო საზოგადოებასთან და ექსპერტებთან კონსულტაციის საფუძველზე, დადგინდება მდინარე თერგში დასატოვებელი წყლის ოპტიმალური ოდენობა.